ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 278 (5) 2 მარტი, 2015 წ

ვეხსნებოდით ლოგ ხარაგაულში

26 თებერვალს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, მინისტრის აპარატის ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის ერთობლივი პროექტის „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია საქართველოს რეგიონებში“ მესამე ეტაპს უმასპინძლა.

აფხაზეთის დელეგაციის 50 კაციან შემადგენლობას აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე, ვახტანგ ყოლბაია ხელმძღვანელობდა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებთან ერთად გაფორმდა მემორანდუმი.

აფხაზეთის №1და ხარაგაულის №2 საჯარო სკოლები დიდი ხანია მეგობრობენ და მათ საქმიანი და კოლეგიალური დამოკიდებულება აქვთ. სწორედ ამიტომ ღონისძიება დაბის №2 საჯარო სკოლიდან დაიწყო. სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, იმღერეს აფხაზეთზე, წარმოგვიდგინეს ცეკვა „აფხაზური“, ყოველივე ეს კი, შეხვედრის ცერემონიალს მხატვრულად აფორმებდა და ალამაზებდა.

ღონისძიების შემხვედრი ნაწილის დასრულების შემდეგ მასპინძლებმა და სტუმრებმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და გეზი ხარაგაულის ისტორიული მუზეუმისაკენ აიღეს.

მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო დიდიძემ, და თანამშრომლებმა მათ მეტად გულთბილი და ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყვეს. აქ სტუმრებს ელოდებოდნენ აფხაზეთის ომში დაღუპულთა მშობლები, ახლობლები. „სპეციალურად სტუმებისთვის მოვიძიეთ გმირულად დაღუპული ბიჭების პირადი ნივთები, რომელთა შეკრებაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა“ - გვეუბნება ქალბატონი ნინო და რუდუნებით და მონიწებით გვაცნობს მუზეუმში დაცულ ექსპონატებს, გრაფიკულ და სკულპტურულ ნამუშევრებს, საყოფაცხოვრებო და საეკლესიო ნივთებს. შეხვედრა მუზეუმში ფურშეტით დამთავრდა.

მთელი დღის განმავლობაში ვაკვირდებოდი სტუმრებს და მათ თვალებიდან კმაყოფილების, მადლიერებისა და სიხარულის ნაპერწკლები სცვიოდათ. კმაყოფილები ვიყავით ჩვენც და სტუმრებიც.

მუზეუმიდან ყველანი ერთად დაბის კინოთეატრისკენ გავეშურეთ, სადაც დასკვნით ნაწილში სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრის სპექტაკლი, „გამარჯობა სოხუმო!“ გველოდებოდა. სპექტაკლის დაწყებამდე სტუმრებმა თეატრის ფოიეში ფოტო-გამოფენა „მოგზაურობა აფხაზეთში“ დაათვალიერეს.

არ ვიქნები ობიექტური, არ აღვნიშნო, როგორი აღმაფრთოვანებელი იყო სპექტაკლი, როგორ ქვითინებდა დარბაზი და როგორ ისმოდა უწყვეტი აპლოდისმენტები.

დასასრულ, გაიმართა დაჯილდოება და პროექტის შეფასებაში, სამადლობელი სიტყვების თქმაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სტუმრები და მასპინძლები.

„ემოციების მართვა მიჭირს, - გვეუბნება აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე, ვახტანგ ყოლბაია, - არასოდეს დამავიწყდება დღე, რომელიც აქ, თქვენთან ერთად გავატარე, ნარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩემში ყველა ის ნიუანსი, პროექტის ყველა დეტალი, ყველა ის ლექსი, სიმღერა თუ ცეკვა, რომელმაც მე აფხაზეთში დამაბრუნა. მადლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ დავით კიკნაძეს, №2 საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ ვალერი გოგნაძეს, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, მადლობა თითოეულ ხარაგაულელს ასეთი გულთბილი შეხვედრისთვის. დღეს აქ ყველაფერს სხვა ჟღერადობა აქვს, სხვა ხიბლი.“

ბატონ ვახტანგს სიტყვა ჩამოართვა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ჯემალ გამახარიამ: „ძალიან ვღელავ, ზღვა ემოცია მაქვს. ამაღელვებელია ის, რომ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, ხარაგაულში, ფეთქავს თავიდან ბოლომდე პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული სული და გული. მინდა, ის განწყობა, რაც დღეს ხარაგაულში სუფევს, მთელს საქართველოს მოედოს და ასე, სიყვარულით გულანთებულები, შევიდეთ აფხაზეთში ჩვენს ძმებთან. შინაგანად ყველა ქართველს სტკივა აფხაზეთი და ეს ტკივილი დღეს ყველაზე მეტად ხარაგაულელებში დავინახე. სწორედ ასეთი განწყობა დააჩქარებს აფხაზეთში დაბრუნების დროს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა უკლებლივ ყველა მასპინძელს და ხარაგაულს.“

დელეგაციის შემადგენლობაში იყო ასევე აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი, სახალხო არტისტი, დიმიტრი ჯაიანი, რომელმაც თავის სათქმელი ერთი ლექსის პატარა სტროფით გადმოგვცა: „ყველანი აქ ვართ, აქ არის ყველა, შეხედე ცოტნეს, მოვარდა ჩორთით, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო სწორდით!“

„რომ მოვდიოდით, ფანჯრებიდან და

გაგრძელება ▶ 2 გვ.

საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემის მოწყობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 66,4 ათასი ლარი გამოიყო

23 თებერვალს გამართულ საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა მორიგი საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. ცვლილება მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო.

მოხსენებითი ბარათის თანახმად, ვახანის, ლეღვნის, ვარძიისა და კიცხის საბავშვო ბაღებში გათბობის სისტემის მოწყობისათვის 66,4 ათასი ლარია გათვალისწინებული; საკრებულოს შენობის გამანაწილებელ ელექტრონულ ქსელზე დაერთების საფასურის გადასახდელად 7,5 ათას ლარი; ყოფილი პოლიციის შენობის პირველი სართულის ოთახების რემონტისათვის 25,0 ათასი ლარი; ხევის საზოგადოებრივი სახლის გენერატორის შესაკეთებლად 2,0 ათას ლარი; საკრებულოს ოთახების რემონტისათვის კი- 9,8 ათასი ლარი. ბატონი ვლადიმერის ინფორმაციით, ყოფილი პოლიციის შენობაში, სასწარაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის განთავსებაა დაგეგმილი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა შენიშვნა გამოთქვა საკრებულოს ოთახების რემონტისათვის გამოყოფილ თანხებზე, მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე სჯობდა ეს თანხა სხვა კუთხით მიმართულიყო.

აღნიშნული საბიუჯეტო ცვლილება დეპუტატებმა 25 თებერვალს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს. წარმოდგენილი ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებულ იქნა 2015 წლის პირველი იანვრის ნაშთი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პრემიების ფონდი დაახლოებით 75%-მდე შემცირდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი ადმინისტრაციული ხარჯის შემცირებას გეგმავს. ამის შესახებ განცხადება მან 25 თებერვალს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გააკეთა.

„საკრებულოს უახლოეს სხდომებზე შემოვალ ინიციატივით, რათა შემცირდეს გამგეობის საპრემიო ფონდი. ხარაგაულის აღმასრულებელი ხელისუფლება ეხმიანება პრემიერის ინიციატივას და იწყებს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას. გარდა საპრემიო ფონდისა, გავივლით სხვა თემებს, სად შეიძლება რესურსების შემცირება. საკმაოდ სოლიდურ თანხებს მოვიძიებთ იმისათვის, რომ სხვადასხვა მიმართულებებით უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი ინტერესები. ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა პრემიების ფონდი დანამატების ფორმით ჩაანაცვლა. თუმცა მე არ ვაპირებ, რომელიმე საჯარო მოხელეს წლის განმავლობაში დანამატის სახით გარკვეული თანხა დავუნიშნო. მიმდინარე წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში პრემიების ფონდი 200 000 ლარს შეადგენს. ვგეგმავ ამ ციფრის დაახლოებით 75%-მდე შემცირებას“-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

საზოგადოებრივი ცენტრი ღორეშაში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორეშაში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნაა დაგეგმილი. შენობა უკვე შერჩეულია და იგი, იუსტიციის სამინისტროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზურფრუქტის წესით გადასცა. ღორეშის მოსახლეობა სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლებს 200-ზე მეტი სერვისით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გააკეთა. „ღორეშის საზოგადოებრივი ცენტრის ამოქმედება მნიშვნელოვანია. ადგილობრივი მოსახლეობისთვის, სოფლიდან გაუსვლელად, ხელმისაწვდომი იქნება ყველაზე მოთხოვნადი სერვისები. საზოგადოებრივ ცენტრში თანამშრომლები კონკურსის წესით შეირჩევიან და პარალელურად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გაივლიან სერტიფიცირებას. ამისთვის გამგეობა უახლოეს მომავალში ორ საშტატო ერთეულზე გამოაცხადებს ვაკანსიას. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელმაც სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მხარი დაუჭირა ჩვენს რაიონში კიდევ ერთი საზოგადოებრივი ცენტრის დაფუძნებას მაშინ, როცა არის მუნიციპალიტეტები, სადაც ხსენებული ცენტრები საერთოდ არაა. ღორეშის ცენტრის სათანადოდ მოწყობისთვის ხარჯებს იუსტიციის სამინისტრო გაიღებს, რომლისთვისაც დაახლოებით 300 ათასი ლარი დაიხარჯება. კარგი იქნება, თუ მსგავსი დაწესებულება კიცხის ზონაზეც გაიხსნება და თუ ამ საკითხზე კარგად ვიმუშავებთ, სავსებით შესაძლებელია ეს წლის ბოლომდეც განხორციელდეს“ -აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

იმერეთის ახალი გუბერნატორი გივი ჭიჭინაძეა

იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი თანამდებობიდან გადადგა. მეფარიშვილს გადადგომის მიზეზები არ დაუკონკრეტებია. მან აღნიშნა, რომ დიდი ხანია სურდა თანამდებობიდან წასვლა და პრემიერ-მინისტრს სთხოვდა, მისი თხოვნა დაეკმაყოფილებინა. თუმცა, ამ დრომდე მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა, ამიტომ თავად მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობიდან წასვლის შესახებ.

ზაზა მეფარშვილი იმერეთის გუბერნატორის პოზიციაზე 2013 წლის დეკემბრიდან მუშაობდა.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, იმერეთის გუბრენატორად გივი ჭიჭინაძე დანიშნა. გივი ჭიჭინაძე თბილისის ვაკის გამგებლად მუშაობდა. ბატონმა გივიმ მუნიციპალიტეტების გამგებლებთან პირველი სამუშაო შეხვედრა უკვე გამართა. შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი კობა ლურსმანაშვილიც ესწრებოდა. მხარის პირველმა პირმა გამგებლებისგან მათ რაიონებში არსებული პრობლემები მოისმინა. გივი ჭიჭინაძის თქმით, ის გაჩერებას არ აპირებს, სურვილი აქვს პირადად მოინახულოს მხარის თერთმეტივე მუნიციპალიტეტი და პრობლემებს ადგილზე გაეცნოს.

ვარლამ ჭიპაშვილი: „მე ვარ საკრებულოს წევრი და არ ვარ ვალდებული თქვენ განგიმარტოთ, რას ვიტყვი და რას არა“

25 თებერვალს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნის შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, კახაბერ გოლუბიანმა გააცნო. საკრებულოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ვებ-გვერდის ადმინისტრირების საკითხმა. დებულებიდან ირკვევა, რომ საიტის ადმინისტრირება გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უნდა განახორციელოს. ამ მუხლის მიმართ შენიშვნა გამოთქვა, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, ასევე დეპუტატმა გელა გოლუბიანმა. მათი განმარტებით, საკრებულოს სრულფასოვნად წარმოჩენის მიზნით ადმინისტრირებაში საკრებულოს აპარატიც უნდა იყოს ჩართული.

გელა გოლუბიანისა და ინგა მაღრაძის პოზიცია არ გაიზიარა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა და აღნიშნა: ,,ვებ-გვერდი უნდა იყოს ერთი ადამიანის ხელში. თუ გვერდს ეყოლება ორი ადმინისტრატორი, ეს ქაოსს გამოიწვევს. რაც შეეხება არგუმენტს, რომელსაც თქვენ აყენებთ, თუ ეს მოხდა, ერთ-ერთი ვიქნები, ვინც ამაზე ხმას აიმაღლებს.“

„ასე ნაჩქარევად არ უნდა მიგვეღო წარმოდგენილი დებულება, ამაზე სერიოზული მუშაობა იყო საჭირო- ამბობს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, გელა გოლუბიანი. ბევრს არ გვაქვს გათვითცნობიერებული რას ნიშნავს ვებ-გვერდი. გაოცებული დავრჩი, როცა მოვისმინე, რომ ჩვენ მიერ დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების შესახებ გარკვეული ინფორმაციები გასაიდუმლოებული უნდა იყოს და საიტზე არ უნდა განთავსდეს.“

გენდერულ საკითხებში გამგებლის მრჩეველის, ინგა ბერაძის თქმით, რომელ საიდუმლო ინფორმაციაზეა საუბარი, როცა ვებ-გვერდი არის ერთ-ერთი ღია და გამჭვირვალე მექანიზმი, სადაც ქვეყნდება საჯარო ინფორმაციები.

„ბატონო გელა, გთხოვთ, დაასახელოთ ის ადამიანი, ვინც ეს ცრუ ინფორმაცია მოგაწოდათ.“

გელა გოლუბიანმა თავი შეიკავა კონკრეტული პირის დასახელებისაგან.

პოლემიკაში ჩაერთო ვარლამ ჭიპაშვილი: ,,არც საკრებულოში და არც სხვა სამსახურებში არ მეგულება არც ერთი ადამიანი, ვინც საჯარო ინფორმაციის გასაჯაროებაზე პრეტენზიას გამოთქვამს. საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება გაწერილია საჯარო სამსახურის შესახებ კანონში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და, ცალსახად ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კანონმდებლობაში იურიდიული ძალით იერარქიულად მაღლა დგას, ვიდრე ჩვენ მიერ მიღებული დებულება. კიდეც რომ შევეწინააღმდეგოთ კანონს, ეს გადის სამართლებრივ ზედამხედველობას პრემიერ-მინისტრის აპარატში და იქ მოგვცემენ შენიშვნას და შესაბამისად, მიმართავენ სასამართლოს.“

ინგა ბერაძე: ,,საიტს ადმინისტრირებას უნდა უწევდეს ერთი ადამიანი. რაც შეეხება საკრებულოს მუშაობის სწორად წარმოჩენას, ჩვენ ამისთვის მზად ვართ და თუ სხვა მიზანი

არ გამოძრავებთ, ამიხსენით რატომ არის საჭირო ვებ-გვერდს ჰყავდეს ორი ადმინისტრატორი ?

ვარლამ ჭიპაშვილი: რეალური მიზანი ჩემთვის კარგადაა ცნობილი“.

ინგა მაღრაძე: ბატონო ვარლამ, იქნებ დაასაბუთოთ, რას გულისხმობთ?

„ქალბატონო ინგა, მე ვარ საკრებულოს წევრი და არ ვარ ვალდებული თქვენ განგიმარტოთ რას ვიტყვი და რას არა. თუ ამით ჩვენი ამომრჩეველი დაინტერესდება, მხოლოდ მათთვის გავაკეთებ განმარტებას,“-მიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძეს.

სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი, კენჭი ეყაროს ინიციატივას, რათა ვებ-გვერდის ადმინისტრირების მუხლში ჩაწერილიყო საკრებულოც.

„ვინაიდან ჩვენი საკრებულოს თავმჯდომარე და აპარატი გამორჩეულები არიან რეგლამენტის დაცვით, ვეწინააღმდეგები ინიციატივის დაყენებას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე. ინიციატივამ გამოიაროს ბიურო, კომისიები და დასამტკიცებლად მხოლოდ მაშინ დავაყენოთ საკრებულოს სხდომაზე“-განმარტა ვარლამ ჭიპაშვილიმა .

საბოლოოდ, დეპუტატებმა ორივე ვარიანტს უყარეს კენჭი. ხმათა უმრავლესობით დამტკიცებული იქნა დებულება, რომლის თანახმადაც ვებ-გვერდის ადმინისტრირებას განახორციელებს მხოლოდ გამგეობის ადმინისტრაციის სამსახური.

შეგახსებთ, რომ მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში ხარაგაულის მუნციპალიტეტს ოფიციალური ვებ-გვერდი ექნება. გვერდის მიზანია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარების, თვითმმართველობის ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის.

ვებ-გვერდი საშუალებას მისცემს, როგორც მოსახლეობას, ასევე იურიდიულ პირებს შეუფერხებლად მიაწოდონ წინადადებები მუნიციპალიტეტის ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რითაც შესაძლებელი იქნება თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

ეკა შავიძე

კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია იწყება

2015 წელს რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის ერთ-ერთი ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციაა, რომლისთვისაც 450 ათასი ლარია გათვალისწინებული. საპროექტო სამუშაოებისათვის გამოცხადებულ ტენდერში უკვე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. ,,სელსონი“, რომელიც უახლოეს მომავალში წარმოადგენს პროექტს .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის განმარტებით, როგორ განიკარგება პარკის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხა, ჯერჯერობით ცნობილი არ

არის. პირველ ეტაპზე, შესაძლოა თანხა სრულად მიიმართოს კულტურისა და დასვენების პარკში მდებარე ღია ესტრადის რეაბილიტაციაზე. საუბარია კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის აღნიშნულ შენობაში გადმოყვანაზე, რისთვისაც ადმინისტრაციისათვის საჭირო და აუცილებელი ოთახების მოწესრიგებაც იგეგმება. პროექტი განხილვის სტადიაშია, იმ შემთხვევაში თუ ღია ესტრადის რეაბილტაცია ნაკლები დანახარჯებით მოხდება, შესაძლებელია მოხდეს პარკის რეაბილიტაციაც, სხვა შემთხვევაში ამ ეტაპზე ღია ესტრადას ჩაუტარდება სრული რეკონსტრუქცია, ხოლო კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია შემდეგ ეტაპზე განხორციელდება.“

◀ 1 ᲒᲗ.

აივნებიდან გვესალმებოდა მოსახლეობა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელს ხარაგაულს უხარია ჩვენი აქ ყოფნა. მადლობა თქვენ ამისთვის“.

ასევე ვრცლად ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე აფხაზ-

ეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატის ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბელა კოპალიანმა, „მინდა მოგილოცოთ ეს ლამაზი დღე. მთელი ხარაგაული, საქართველო, აფხაზეთი, დღეს ყველანი ერთად ვდგავართ და ვიგონებთ აფხაზეთს, დაკარგულ ტერიტორიებს, დაღუპულ გმირებს.. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ კობა ლურსმანაშვილს, ვალერი გოგნაძეს, დავით კიკნაძეს იმისთვის, რომ მხარი დაუჭირეს პროექტს, რომლის სახელწოდებაც სიმბოლურია „აფხაზეთის კულტრული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის საქართველოს რეგიონებში“.

ქალბატონმა ბელამ ასევე აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება გაგრძელდება საქართველოს სხვა რეგიონებშიც, აჭარაში, კახეთში და ა.შ. „დარწმუნებული ვარ, ბატონო კობა, თქვენს ინიციატივას მთელი საქართველო გამოეხმაურება, თქვენ კი პირველი იქნებით ამ კეთილ საქმეში“.

შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ბატონმა კობა ლურსმანაშვილმა: „პირველ რიგში დიდი მადლობა აფხაზეთის დელეგაციას. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მივესალმები აქ წარმოდგენილ საზოგადოებას. დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ხარაგაულის ცხოვრებაში, დღე, რომელსაც ჩვენ „აფხაზეთის დღე ხარაგაულში“ ვუწოდეთ. დღეს ჩვენი წილი აფხაზეთი აქაა. როცა დედასამშობლოს სჭირდებოდა, ხარაგაული ყოველთვის გამოირჩეოდა, ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე იდგა. მინდა, მუხლი მოვიდრიკო ომში დაღუპული გმირების მშობლებისა და ახლობლების წინაშე. იყოს მარადიული ხსენება მათი სულების. ხარაგაული თავის გონებაში არასოდეს დათმობს აფხაზეთს. ჩვენი გმირების დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ ჩაივლის. დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფხაზეთისთვის ბრძოლა ახალი ფორმით დაიწყო. მშვიდობიანი და მეგობრული ფორმით. ჩვენ უნდა შევძლოთ აფხაზეთს, არა შორიდან, არამედ იქ ადგილზე მივესალმოთ და გისურვებთ, ბატონო დელეგაციის ხელმძღვანელებო, ეს თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს მომხდარიყოს. მინდა, მთელ საქართველოს გავაგონო ჩემი ხმა; ბრძოლა არ დასრულებულა, წინ, აფხაზეთისკენ, გვჯეროდეს აფხაზეთის დაბრუნების!“

და ბოლოს, ბატონმა კობამ მადლობა გადაუხადა გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს, რესურსცენტრის უფროსს, დავით კიკნაძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ქალბატონ, ინგა მაღრაძეს, მის მოადგილეს ქალბატონ მანანა ბარბაქაძეს, №2 საჯარო სკოლის დირექტორს, ვალერი გოგნაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დღევანდელი ღონისძიების ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა.

„მადლობა თითოეულ თქვენგანს, ჩემო მეგობრებო!“

დასკვნით ნაწილში, ბატონი კობა სამადლობელი სერტიფიკატით და აფხაზეთის უმაღლესი ჯილდოთი „საპატიო სიგელით“ დაჯილდოვდა.

თეა ბერიძე

დედაშვილობა, დედაშვილობა...

ხვალ, 3 მარტს, სრულიად საქართველო „დედის დღეს“ აღნიშნავს. ეს პატარა წერილი დედაშვილობის მადლმა და ახლობელთან განშორებით გამოწვეულმა სევდამ შთამაგონა...

კვირას, 22 თებერვალს, უსიამოვნო წვიმიან – ქარიანი დღეების შემდეგ, მოკრიალებულ ცის კაბადონზე არნახული ძალით გამობრწყინდა მზე... იქნებ იმიტომაც, რომ ამ დღეს სოფელ თეთრაწყაროს ფაქუთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზო – სავანემ ფართოდ გაიხსნა მკერდი და ერთი ღირსეული ქართველი ქალბატონი, ნათელა გიორგის ასული თავზარაშვილი – გიორგიძე, ჩაიხუტა... ის ზღვა ხალხის ზღვა ცრემლმა მიაცილა მარადიულ სამკვიდრომდე...

ის – ის იყო, სამარის კართან დაასვენეს ცხედარი, რომ შემოგარენი ვაჟკაცის ძლიერმა გოდებამ შეძრა... ყველამ მზერა იქით მიაპყრო... ბრგე ვაჟკაცი ძვირფას კუბოს გადაჰფარებოდა, თითქოს უნდოდა, მარტოოდენ დედა კი არა, მთლიანად კუბო ჩაეხუტებინა გულში, მოექცია ღონიერ მკლავებში... ის გარდაცვლილი ქალბატონის უმცროსი ვაჟი, ზურაბ გიორგიძე, იყო. მან ხომ სარეცელს მიჯაჭვული დედის მოვლა არვის დაანება, თვით სათნოებითა და კეთილშობილებით გამორჩეულ ერთგულ მეუღლე ირმა შველიძესაც კი...

ვუყურებდი დედა – შვილის განშორების ამ საოცარ სურათს და, ჩემდა უნებურად, გონებაში ამომიტივტივდა ლოცვა – სადღეგრძელო ჟინვერ ქარსელაძის რომანიდან „ჩემო ძვირფასი ლონდა“: ***„ეს იმ გრძნობას გაუმარჯოს, როდესაც ახალშობილს დედა პირველად ნაზად ეამბორება და მას შვილი ვერ გაიგებს...***

ეს იმ გრძნობას გაუმარჯოს, როდესაც სამარის კართან მიცილებულ დედას შვილი უკანასკნელად აკოცებს და მას დედა ვერ გაიგებს...

დიახ, დედაშვილობა სიხარულით დაწყებული და ცრემლით დამთავრებული სცენაა, სცენა უკვდავი, წარუშლელი და ყოველთვის ამაღელვებელი.

დედაშვილობას, დედაშვილობას გაუმარჯოს!“

ვინც ქალბატონ ნათელას შვილებს, გოჩა და ზურაბ გიორგიძეებს და ადამიანებთან მათ ურთიერთობას იცნობს, მას არც იმდღევანდელი ხალხმრავლობა გააკვირვებდა, არც ზღვა ცრემლი და არც გოდება...

მე კი მინდა, საკუთარი თავი დავაჯერო, რომ ზენაარის ძალით იმ წუთებში დედას ნამდვილად ჩაესმა შვილის გულიდან მწუხარებით ამოხეთქილი ვედრება – შენ შემოგევლე, შენ გენაცვალე, რატომ მომიკვდი, გემუდარები, დამიბრუნდი, ჩემო საყვარელო დედა!

... ჩაესმა და, საზოგადოებისგან, შვილებისაგან ასე დაფასებული, მშვიდად შეუდგა გზას მარადისობისაკენ, საყვარელ მეუღლესთან, რომან გიორგიძესთან, შესახვედრად...

P.S. დაე, ზეციური სამყაროს ბინადარ დედებს არასოდეს მოჰკლებოდეთ გაძლიერებულ შთამომავალთაგან ხსოვნა, ხოლო ამქვეყნიურ მზიანეთში მყოფ დედებს – ჯანმრთელობა, ულევი სიხარული და ბედნიერება

მერი გიორგიძე

ცოცხალზოლის ჰოლბივ მთელი თვალი ლიდებზოლებით

დავით ჯიმშიაშვილი როდის გავიცანი არ მახსოვს. ჩემს მეხსიერებას იგი ღრმა ბავშვობიდან ახსოვს. ახსოვს ერთი ალალმართალი, კეთილი, ზრდილობიანი, შემოქმედებითად აქტიური, კარგი ოჯახის შვილი. დათო რომ ნიჭიერია, ეს ხარაგაულმა კარგად იცის, რასაც მისი პედაგოგებიც ადასტურებენ. სკოლაში კარგი სწავლით აღებული სტარტი მან უნივერსიტეტში გააგრძელა და ასე გადიოდა წლები... ცხოვრება ჩვეული რიტმით მიდიოდა, რომ არა... ერთი მძიმე და ტკივილიანი დღე... ამაზე საუბარს არ ვაპირებ, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი, იმ დღეს, უფალმა ახალი დათო დაგვიბრუნა და აი, დღეს, ჩვენს წინაშეა პოეტი დავით ჯიმშიაშვილი.

25 თებერვალს ხარაგაულის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში, ახალგაზრდა პოეტს, ლექსების პირველი კრებულის „იწყებ თავიდან“ პრეზენტაცია მოუწყო.

დავით ჯიმშიაშვილი 1981 წლის 19 მარტს დაიბადა. 1999 წელს დაამთავრა დაბა ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია. ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა უძრავი ქონების კომპანიებში. დავითმა პირველი ლექსი 2008 წელს, 26 წლის ასაკში დაწერა და სიყვარულს მიუძღვნა. შემდეგ და შემდეგ დათოს შემოქმედება სიმბოლური გახდა. იგი დიდი სიყვარულით წერს თავის კუთხეზე, სიყვარულზე, მეგობრებზე, სამშობლოზე, ტკივილით კი – გარდაცვლილ ბიძაშვილზე. დამწყები პოეტი ხშირად მონაწილეობს ღონისძიებებში, კონკურსებში. იგი თავისუფალ დროს სხვადასხვა ქალაქებში მართავს პოეზიის საღამოებს. აღსანიშნავია, ასევე, რომ მისი პირველი კრებულის პრეზენტაცია 28 იანვარს სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო.

ღონისძიება მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის. გასუსული დარბაზი და მქუხარე ტაში მთელი ღონისძიების თანმდევი იყო. კრებულში შესული ლექსები, ავტორთან, ერთად ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც წაიკითხეს.

დათოს ლექსზე, დალი მერაბიშვილის მიერ, დაწერილმა სიმღერამ კიდევ უფრო მეტი მრავალფეროვნება შესძინა საღამოს, სიმღერა თეა ჯანიაშვილმა, ვასილ კიკნაძემ და დავით კვირიკაშვილმა შეასრულეს.

,,დავით ჯიმშიაშვილი ხარაგაულელი პოეტების მესამე თაობაა. დარწმუნებული ვარ ის არაჩვეულებრივ რითმას დაუტოვებს ჩვენს რაიონს. იგი თავისი აზროვნებით, ზნეობით, წერის სტილით მიყვება იმ გზას, რომელიც სჭირდება პოეტს, მწერლას, კაცს, ადამიანს. ძალიან მომწონს დათოს პირველი წიგნი. იგი ყველა თაობის ადამინზეა გათვლილი. წარმატებებს ვუსურვებ მას და მეფიქრება, რომ წლების შემდეგ, ჩვენ ისევ შევიკრიბებით და პოეტ დავით ჯიმშიაშვილის დიდებული წიგნების პრეზენტაციას მოვაწყობთ“-აღნიშნა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა.

ახალგაზრდა პოეტი ასევე დაახასიათა მისმა პედაგოგმა ზეინაბ ბუაჩიძემ:

,,ბედნიერი დღეა დღეს ჩემთვის. ჩემი საყვარელი მოსწავლის დათოს პოეზიას ვეზიარე. სიყვარულის პოეზია მთელი თავისი დიდებულებით - ასე დავარქმევდი ამ საღამოს და ამით ყველაფერია ნათქვამი. დათო არის უაღრესად დიდი სიყვარულით სავსე პიროვნება. მადლობა უფალს მთელი იმ ცხოვრებისთვის, ყველა ტკივილისთვის, სიხარულისთვის რაც დათოს ცხოვრებაში იყო. რომ არ ყოფილიყო ის განსაცდელი, შეიძლება ასეთი ბრწყინვალე პოეზია არ დაბადებულიყო, მისი ლექსები ასეთი ლამაზი არ ყოფილიყო. ან დიდი სიხარული უნდა იყოს ან დიდი ტკივილი პოეზიის მუზა რომ მოგივიდეს. დათო სკოლაში იყო შესანიშნავი პიროვნება, ბრწყინვალე მოსწავლე, სკოლის გული და სული, სკოლის მოყვარული. მინდა გზა დავულოცო და შემოქმედებითი გაზრდა ვუსურვო.

სიტყვა არ ქონდა დაგეგმილი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს, მაგრამ მისმა სურვილმა ორიოდე სიტყვა ეთქვა დათოსთვის და წაეკითხა მისი ლექსი, ნათლად გამოხატა პოეტისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ,,გამითბა სული და გული, როგორ მოგვნატრებია პოეზია, ასეთი უშუალო საღამოები გვაკლია ხარაგაულში. გილოცავ დავით ამ დიდ წარმატებას.“

№3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, მერი გიორგიძემ მადლობა გადაუხადა ცენტრალურ ბიბლიოთეკას ასეთი ორგანიზებული და ლამაზი საღამოსთვის და დავითს მიმართა: ,,ჟრუანტელი მივლის... ჩემო დავით, შენ პოეზიის კარი შეაღე და შიგ უკვე იპოვე ოქრო. არასოდეს დამავიწყდება შენი სტრიქონები ,,...ვენებს ვისერავ კალმით და ლექსები მოდის წვეთებად...“ ხარაგაული საოცრებაა, ჩვენთან მოსახლეობს მუზა და შენი ლექსები ნიაღვარივით მოდის. მე ვენაცვალე ცეცხლით განაწამებ, გულით პოეტ დავით ჯიმშიაშვილს.“

თეა ბერიძე

გაერთიანებული კომისიის სხდომაზე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დღის ცენტრის შექმნის შესახებ იმსჯელეს

25 თებერვალს საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა ჩატარდა. დეპუტატებმა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის დღის ცენტრის დაფინანსების საკითხზე იმსჯელეს. პროექტი მათ რუსუდან გურგენიძემ წარუდგინა. დღის ცენტრის შექმნის მიზანია, დაეხმაროს რაიონში მყოფ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამ სტატუსის მატარებელი სამოცდაათზე მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვია.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა განმარტა, საწყის ეტაპზე ცენტრი 20 ბავშვს მოემსახურება. სწავლება ინდივიდუალურად წარიმართება და ამ პროცესში ჩაერთვება: მასაჟისტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი და ორი სპეციალისტი. დაწესებულება, სავარაუდოდ, ფარცხნალის სკოლის პირველ სართულზე განთავსდება. შენობის რეაბილიტაცია შეიძლება გერმანიის საელჩოდან დაფინანსდეს. ბავშვებს ზონების მიხედვით სამარშრუტო ტაქსი მოემსახურება და ტრანსპორტირების ხარჯებსაც ცენტრი დაფარავს.

პროექტის ხელმძღვანელს ხარჯები უკვე გაწერილი აქვს. მისი ინფორმაციით, ერთ თვეში ოცი ბავშვისთვის 56 ათასი ლარია საჭირო. ამ თანხაში შედის კვება, ტრანსპორტირება და მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურება. ქალბატონი რუსუდანი ცენტრის დაფინანსებისთვის აქტიურად ეძებს დონორ ორგანიზაციებს, შესაბამისად ის გარკვეულ თანხას ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც ელოდება.

პროექტზე მსჯელობისას კიდევ ერთი ფაქტი გამოიკვეთა, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს შეეხებოდა. როგორც დეპუტატებმა აღნიშნეს, ზოგიერთ მშობელს არ სურს შვილის მსგავს დაწესებულებაში მიყვანა. თუმცა რუსუდან გურგენიძე ამისთვისაც მზადაა და ამბობს, რომ ფსიქოლოგიური კონსულტაციების გავლით მშობლებში ამ პრობლემის აღმოფხვრას შეძლებს და აუცილებლად მოხდება ე.წ ჩაკეტილი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მეტად მნიშვნელოვანია და ამ ეტაპზე, მთავარია შესაბამისი ფინანსების მოძიებისთვის, მისი აღმასრულებელ ხელისუფლებამდე მიტანაა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ყველა დეტალის გათვლაა საჭირო, რათა დღის ცენტრმა გამართულად იმუშაოს. კომისიის სხდომაზე პროექტი დადებითად შეფასდა.

საკითხის მიმართ განსხვავებული პოზიცია აქვს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს. მან 25 თებერვალს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განმარტა, რომ მიესალმება ხარაგაულში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის დღის ცენტრის შექმნას, თუმცა ამ კუთხით ცალკე ა(ა)იპ -ის ჩამოყალიბებას არ აპირებს.

„მაშინ, როცა ბორის სკოლა-პანსიონში არის ყველა რესურსი იმისთვის, რომ მინიმალური ხარჯებით შეიქმნას განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის დღის ცენტრი, ამ მიმართულებით რატომ უნდა შევქმნათ ცალკე ა(ა)იპ, რატომ უნდა მოვაწესრიგოთ სხვა შენობის ინფრასტრუქტურა და გავწიოთ დიდი ხარჯები? თუკი ამ პროექტის დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდება, ჩვენ ხარჯებს იმ მიმართულებით გავიღებთ სადაც უკვე ამის ბაზა არსებობს“- აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

უფასო წრეები მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

ა(ა)იპ ნინო სახვაძის სახელობის მოსწავლე – ახალგაზრდობის სახლში სრულიად უფასოდ რამდენიმე წრე ფუნქციონირებს. კერძოდ:

1. ლიტერატურული თეატრის წრე – პედაგოგი დალი შარაშიძე;
2. ხატვის წრე – პედაგოგი მარინა გოგია;
3. მაკრამეს წრე – პედაგოგი მარინე ვეფხვაძე;
4. ხალხური სიმღერის წრე, მოსწავლეთა სახლის და ლეღვნის საჯარო სკოლის ბაზაზე – პედაგოგები ვასილ კიკნაძე და ირინა შარიქაძე.
5. რიტმული ცეკვის წრე – პედაგოგი ქეთევან ხარაძე;
6. საესტრადო სიმღერის წრე – პედაგოგი დარეჯან გვაძაბია;
7. საეკლესიო საგალობლების წრე – პედაგოგი თორნიკე ბაკურაძე;
8. ხის მხატვრული დამუშავების წრე, მარელისის სკოლის ბაზაზე – პედაგოგი იზოლდა გველესიანი;
9. ქსოვა, ქარგვის წრე – პედაგოგი დალი ბალხაზიშვილი;
10. კომპიუტერის შემსწავლელი წრე, მოსწავლეთა სახლის და ბორითის სკოლის ბაზაზე – პედაგოგი თინათინ კიკნაძე და მადონა გაჩეჩილაძე;
11. ინგლისური ენის შემსწავლელი წრე – პედაგოგი თამარ თხელიძე;
12. მხარეთმცოდნეობის წრე – პედაგოგი მაკა გელაშვილი;
13. ნორჩ – მათემატიკოსთა წრე – პედაგოგი მარინა ვეფხვაძე;
14. მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“ დაბისა და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ბაზაზე – პედაგოგები ციური ბლუაშვილი, ნანა ლურსმანაშვილი, თამაზ ბარბაქაძე და გულნაზ აბრამიშვილი.
15. მხატვრული კითხვის წრე-პედაგოგი თამარ გაჩეჩილაძე;

პროექტ „წარსულის ქრონიკების“ ფარგლებში საბავშვო ბიბლიოთეკამ ლაშის საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა

24 თებერვალს ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში ისტორიულ პროექტ „წარსულის ქრონიკების“ (ავტორი ინგა ვეფხვაძე) ფარგლებში , საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. პროექტის მიზანი მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღების გახსენება და აღნიშვნაა. მასში აქტიურად მონაწილეობენ, როგორც დაბის, ასევე სოფლის სკოლების მოსწავლეები. ამჟამად საბავშვო ბიბლიოთეკამ სოფელ ლაშის საჯარო სკოლის მოსწავლეებსა (ისტორიის პედაგოგი ეთერ ლომსაძე) და მოსწავლე – ახალგაზრდობის სახლთან არსებულ მგალობელთა გუნდ „ნუნისს“ (ხელმძღვანელი თორნიკე ბაკურაძე) უმასპინძლა.

ლაშის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიხსენეს ის რეპრესირებული გმირები, რომლებიც ტრაგიკულად შეეწირნენ 1921 წლის 25 თებერვალს. მოსწავლეებმა დამსწრეთ გააცნეს წმინდა მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. აღნიშნეს, რომ ლაშის სკოლა სწორედ წმინდა სიმონ მჭედლიძის სახელობისაა. ღონისძიების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმები „25 თებერვალი“ და „წმინდა მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძე.“

ლაშის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნანა აბესაძემ, სკოლის სახელით, საბავშვო ბიბლიოთეკას წმინდა სიმონ მჭედლიძის ფოტო უსახსოვრა, მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, პროექტის ავტორს, რომლითაც ხელი შეეწყო მოსწავლეთა ჩართულობას საკუთარი ქვეყნის რეალური ისტორიის გაცნობაში.

მესამე საჯარო სკოლის პედაგოგმა მერი გიორგიძემ ლამაზი სიტყვებით შეამკო, ღონისძიების მონაწილეები. „მივესალმები საბავშვო ბიბლიოთეკის სისხლსავსე ცხოვრებას. უაღრესად ბედნიერი ვარ ამ წუთებში, რადგან ფაქტია, თუ როგორ მუშაობენ წმინდა სიმონ მჭედლიძის მიერ ფუძედამკვიდრებულ სკოლაში. ჩემი სადამრიგებლო კლასის ორი მოსწავლე – ეთერ ლომსაძე და ნინო ნიქაცაძე, მათ ხომ წლების მიღმა წარმატებით დაამთავრეს ხარაგაულის რკინიგზის მეათე (ამჟამად მესამე საჯარო) სკოლა.

„წარსულის ქრონიკებში“ ჩართული ლაშის საჯარო სკოლის თითოეულ მოსწავლეში მე ვხედავ წინაპართა ღვაწლის დამფასებელთა და მომავალ დღეთა დიდ იმედს. ვხედავ რა დიდი შრომა გაუწევია მათი ისტორიის პედაგოგს, ეთერ ლომსაძეს, როგორ საიმედო ცვლას უმზადებს ის და სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მათი ენერგიული წინამძღოლი, ქალბატონი ნანა აბესაძე, დედა საქართველოს.

კიდევ ერთხელ მინდა მადლიერება გამოვხატო გიმნაზიის პატარა იადონების მიმართ (მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი თორნიკე ბაკურაძე), რომელთაც ასე გაალამაზეს ეს უმშვენიერესი წუთები“.

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა, ლაშის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ისტორიულ პროექტ „წარსულის ქრონიკებში“ აქტიური მონაწილეობისათვის სამახსოვრო სიგელები გადასცა. ასევე მადლობა გადაუხადა ისტორიის პედაგოგ ეთერ ლომსაძეს და მაღალი შეფასება მისცა ამ საინტერესო შეხვედრის თითოეულ მონაწილეს.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულელთათვის სპორტი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია

ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში სრულიად უფასოდ სპორტის რამდენიმე წრე ფუნქციონირებს. ცენტრის დირექტორი დავით გელაშვილი აღნიშნავს, რომ ხარაგაულელთათვის სპორტი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. მოსახლეობა ყოველთვის მისდევდა სპორტულ ცხოვრებას და დღესაც ამ გზას წარმატებით აგრძელებს. სპორტსკოლა წარმატებებს ნამდვილად არ უჩივის, რისი მაგალითიცაა ხარაგაულის გუნდის ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში, ხაშურის, ბორჯომისა და ტყიბულის გუნდებთან, რომელიც ხარაგაულელთა წარმატებით დამთავრდა. ასევე რამდენიმე თვის წინ, ხარაგაულში ჩატარებული ანზორ მაღრაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობაში, სადაც ჩვენი რაიონის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს. როგორც ბატონი დავით აღნიშნავს, 8 მარტიდან იწყება იმერეთის გუბერნიის პირველობა ვაჟ კალათბურთელთა შორის, რომელშიც იმერეთის თერთმეტივე რაიონი მონაწილეობს. შეხვედრა ორ რაიონში გაიმართება, ერთი ჩატარდება ხარაგაულში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურისა და საჩხერის გუნდები, ხოლო მეორე წყალტუბოში, სადაც იმერეთის დანარჩენი მუნიციპალიტეტები შეხვდებიან ერთმანეთს.

სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში თავისუფალი,ქართული,ბერძნულ-რომაული ჭიდაობისა და ძიუდოს სახეობები ფუნქციონირებს. აგრეთვე, აქ არის კალათბურთის, ფეხბურთის, კარატის, მძლეოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის წრეები. ცენტრი არც მოსწავლეთა სიმცირეს არ უჩივის, რადგან სამასამდე მოსწავლე სპორტის სხვადასხვა სახეობაშია ჩართული. ხარაგაულის გარდა, ბორის სკოლა ანსიონში, მარელისში, ვერტყვიჭალაში, ზვარეში, ხევში, ნადაბურში, საღანძილისა და კიცხის სკოლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის წრე მოქმედებს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის სპორტდარბაზში ფუნქციონირებს სატრენაჟორო დარბაზი.მისი ერთთვიანი პაკეტის ღირებულება ოცდაათ ლარს შეადგენს. ერთთვიანი პაკეტი 16 ვიზიტს მოიცავს, თითო ვიზიტი ორი საათის ხანგრძლივობით. როგორც დავით გელაშვილი ამბობს, სეზონის მიუხედავად, სატრენაჟორო დარბაზი მომხმარებელთა აქტიურობით გამოირჩევა, თუმცა ზაფხულში ტრენაჟორებზე მოთხოვნა დღევანდელთან შედარებით, გაცილებით დიდია.

დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...

საქართველოში 25 თებერვალი უკვე რამდენიმე წელია, სხვა დატვირთვით აღინიშნება. ეს არის ტრაგიკული დღე, როცა ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაკარგა ნანატრი თავისუფლება.

მესამე საჯარო სკოლის (დირექტორი მარინა ხვედელიძე) მეშვიდეკლასელებმა (კლასის ხელმძღვანელი მაია გაგოშიძე) მოვიძიეთ ამ თარიღთან დაკავშირებული ბევრი ისტორიული მასალა, გავაკეთეთ სტენდი, „დუმდა სიონი და დუმდა ხალხი,“ ჩვენებური ხედვით დავხატეთ სურათები, აღვადგინეთ დეპეშის ფორმატში ის ტექსტი, რომელიც სერგო ორჯონიკიძემ გაუგზავნა მოსკოვში ლენინსა და სტალინს; აბდღვრიალებული სანთლების ფონზე უფალს შევავედრეთ თბილისის მისადგომებთან დაღუპულ იუნკერთა სულები...

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ქალბატონმა ნანა კვინიკაძემ, ჩვენ მიერ ორგანიზებული ეს შეკრება ამ სიტყვებით შეაფასა: მივესალმები მეშვიდეკლასელთა მიერ აღნიშნული ისტორიული ფაქტის ასეთ დონეზე გაშუქებას. წარსულის სრულყოფილი ცოდნა მომავალ დღეთა მყარი საფუძველია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა, ვინც დაინტერესებულია, თავისი ქვეყნის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღდეს, ჭეშმარიტი პატრიოტია. ვფიქრობ, კვლავ არაერთი თვალსაჩინო თარიღის ღამაზი აღნიშვნით გაგვახარებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მოსწავლეებო!

მონიკა გუცხრიკიძე

მესამე საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე

ვაკანსია

გაზეთი „ახალი ხარაგაული” აცხადებს ვაკანსიას ჟურნალისტის თანამდებობაზე. სასურველია დაინტერესებულ პირს ჰქონდეს ჟურნალისტური განათლება ან ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება. მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 595-51-98-12 .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის (შემდგომში ვებგვერდი) შევსების, ორგანიზებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ვებ-გვერდის დანიშნულებაა:

ა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარების, თვითმმართველობის ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული დანესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის შინოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის;

ბ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან, დანესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან. ვებ-გვერდი საშუალებას მისცემს მოსახლეობას და იურიდიულ პირებს შეუფერხებლად მიმართონ და მიაწოდონ წინადადებები მუნიციპალიტეტის ორგანოებს და თანამდებობის პირებს, მუნიციპალიტეტში არსებული მიმდინარე პრობლემების და მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ, რითაც შესაძლებელი იქნება თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ოფიციალური მისამართია: წწწ.კპარაგაული.გე

მუხლი 2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება

1. ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება მოიცავს:

ა) ვებ-გვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას; ბ) ვებ-გვერდის ფუნქციონირების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას; გ) ინფორმაციის განთავსებას; დ) ვებ-გვერდზე შემოსული წინადადებისა და წერილების სისტემატიზაციას და გადაცემას გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისათვის; ე) ვებ-გვერდის ფუნქციონირების პროგრამულ უზრუნველყოფას, მათ შორის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, ნაშლის და დაბლოკვისაგან.

3. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოთხოვნა ინფორმაციის მინოდების შესახებ ვებ-გვერდზე განსათავსებლად სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და ადმინისტრაციული დანესებულებებისათვის.

მუხლი 3. ინფორმაციის წყაროები, კატეგორიები და სტატუსი

1. ვებ -გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ხარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. იგი საჯარო და უსასყიდლოა.

2. ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს ოფიციალური (შესაბამისი მითითებით) ან არაოფიციალური სტატუსი.

3. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენება თავისუფალია. საინფორმაციო საშუალებებს უფლება აქვთ გამოიყენონ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ვებ-გვერდის მისამართის სავალდებულო მითითებით.

4. ვებ-გვერდის შევსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; ბ) თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები; გ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ინტერნეტ რესურსები; დ) ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ პროექტს მუნიციპალიტეტთან. ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოები, დანესებულებები და ორგანიზაციები.

5. ვებ-გვერდის ინფორმაცია განახლების მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) მუდმივი (ყოველდღიური); ბ) პერიოდული (ყოველკვირეული, ყოველთვიური); გ) ერთჯერადი.

მუხლი 4. ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თვითმმართველი ერთეულის იურიდიული პირები, საწარმოები და ორგანიზაციები ადმინისტრაციულ სამსახურს ანვდიან ვებ-გვერდზე განსათავსებელ ინფორმაციას ელექტრონული ფორმით წინამდებარე დებულებით დადგენილი გადაცემისა და განახლების პერიოდულობის ვადების დაცვით.

2. ინფორმაციის მინოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, ხოლო ვებ-გვერდზე დროული, შესაბამის განყოფილებაში (ქვეგანყოფილებაში) განთავსებასა და მიწოდებული ინფორმაციის რედაქტირებაზე ადმინისტრაციული სამსახური.

მუხლი 5. ვებ-გვერდის ძირითადი სტრუქტურა

ა) საკრებულო; ბ) გამგეობა; გ) ადმინისტრაციული ერთეულები; დ) იურიდიული პირები; ე) მაჟორიტარი დეპუტატი; ვ) ბიუჯეტი; ზ) სოფლის მწარდამჭერი პროგრამა; თ) განათლება და მეცნიერება; ი) კულტურა და სპორტი; კ) ჯანდაცვა და სოციალური სფერო; ლ) ინფრასტრუქტურა; მ) მართლწესრიგი; ნ) კანონმდებლობა;

მუხლი 6. ვებ-გვერდის განყოფილებათა სტრუქტურა

1. საკრებულოს განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

ა) საკრებულოს დებულება (რეგლამენტი); ბ) საკრებულოს თანამდებობის პირები (თანამდებობა, მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა,უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი და მოქალაქეთა მიღების დრო); გ) საკრებულოს წევრები (მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, სამსახურის ტელეფონი, სამსახურისმისამართი); დ) საკრებულოს კომისიები (კომისიის შემადგენლობა,უფლებამოსილება, სამუშაო გეგმა, სხდომის ოქმები); ე) საკრებულოს ბიურო (შემადგენლობა, უფლებამოსილება, ბიუროს სხდომის ოქმები); ვ) საკრებულოს ფრაქციები (ფრაქციის წესდება, ფრაქციის შემადგენლობა, ფრაქციის სხდომის ოქმები, ფრაქციის განცხადებები და მიმართვები); ზ) საკრებულოს აპარატი (აპარატის დებულება, აპარატის უფროსი (მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, სამსახურის ტელეფონი და მისამართი), აპარატის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილება,პერსონალური შემადგენლობა თანამდებობის და სამსახურის ტელეფონის მითითებით);

2. გამგეობის განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

ა) გამგეობის დებულება; ბ) გამგეობის თანამდებობის პირები (თანამდებობა, მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი და მოქალაქეთა მიღების დრო); გ) გამგეობის სტრუქტურა; დ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულები (სტრუქტურული ერთეულის დებულება, სამუშაო გეგმა, პერსონალური შემადგენლობა თანამდებობის და სამსახურის ტელეფონის მითითებით).

3 . გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მათი მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, სამსახურის ტელეფონი).

4. სამართლებრივი აქტების განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზა (კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები და სხვა ნორმატიული აქტები); ბ) საკრებულოს სამართლებრივი აქტები; ბ.ა) საკრებულოს დადგენილებები, საკრებულოს განკარგულებები;

5. ახალი ამბების განყოფილებაში თავსდება ინფორმაცია თვითმმართველ ერთეულში მომხდარ და მიმდინარე მოვლენებზე.

6. ჯანდაცვა და სოციალური სფეროს განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

7. კულტურა და სპორტი

ა) კულტურის სახლები; ბ) ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები; გ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; დ) მუზეუმი; ე) ბიბლიოთეკები; ვ) სპორტული ობიექტები; ზ) საფეხბურთო კლუბი; თ) გამოჩენილი სპორტსმენები; ი) სამუსიკო სკოლა; კ) კულტურული მემკვიდრეობა.

8. განათლება და მეცნიერება ა) საგანმანათლებლო რესურსცენტრი; ბ) საჯარო სკოლები; გ) სკოლამდელი დანესებულებები; დ) მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი.

9. ჩვენ შესახებ

ა) ზოგადი ცნობები; ბ) ზოგადი ცნობები ხარაგაულზე; დ) ხარაგაულის სიმბოლიკა; ე) ხარაგაულის რუკა; ვ) ხარაგაულის გეოგრაფია და ისტორია; ზ) თვითმმართველი ერთეულის განვითარების გეგმა.

10. ხარაგაული

ა) გამოჩენილი ადამიანები; ბ) პოეტები; გ) ლექსები ხარაგაულზე; დ) წიგნები ხარაგაულზე.

11. თეატრი

ა) ხარაგაულის თეატრის ისტორია; ბ) ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი; გ) რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი; დ) თოჯინების თეატრი.

12. რელიგია

ა) მარგვეთისა და უბისის ეპარქია; ბ) ეკლესია-მონასტრები.

13. გალერეა

ა) ფოტო ალბომი; ბ) ვიდეო ალბომი.

14.კონტაქტი ჩვენთან

ა) საჯარო ინფორმაცია; ბ) წერილი გამგებელს.

15.ტრანსპორტი და კომუნიკაცია

16. კომუნალური სანარმოები

17.მართლწესრიგი

ა) პოლიცია; ბ) სასამართლო;

18. საზოგადოება

19.ტურიზმი

ა) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი; ბ) ტურისტული მარშრუტები;

გ) კულტურისა და დასვენების პარკი.

20. ბიზნესი

21. სხვადასხვა

22. ფორუმი

23. სასარგებლო ბმულები

24. მიმდინარე პროექტები

25. ვაკანსია

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.